ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 184

« 6 » ივნისი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს "მაილინ გრუპს" (ს/ნ: 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შეცვლის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127² მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს #21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თხოვნა და შეიცვალოს ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს "მაილინ გრუპს" (ს/ნ: 205207364) შორის 2011 წლის9 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, „ქალაქ თბილისის მთავრობასადაშპს "მაილინ გრუპს" (ს/ნ: 205207364) შორის2011 წლის9 დეკემბერსგაფორმებული„ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებითგათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 17 მაისის N17.24.340 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის შესაბამისად, იმ პირობით, რომ შპს„მაილინგრუპი" (ს/ნ: 205207364) უზრუნველყოფს:

ა) „ქალაქ თბილისის მთავრობასადაშპს "მაილინ გრუპს" (ს/ნ: 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული„ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შეცვლასთან

დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 17 მაისის N17.24.340 განკარგულების დანართი 4-ით განსაზღვრული 9076 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების და დანართი 7-ით განსაზღვრული 4558 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას, „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს "მაილინ გრუპს" (ს/ნ: 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 17 მაისის N17.24.340 განკარგულების დანართი 2-ით და დანართი 5-ით წარმოდგენილი საკადასტრო ერთეულების გამიჯვნიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გადაცემიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში „ქ. თბილისში, წურწუმიას და ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის დაპირების მიცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 23 მაისის N14.58.676 განკარგულებით განსაზღვრული პირებისთვის (20 (ოცი) ოჯახი) არანაკლებ ჯამში 800 კვ.მ (თითო ოჯახი არანაკლებ 40 კვ.მ). საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას, რომელიც იქნება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, გარემონტებული, რაც გულისხმობს: კარ-ფანჯარას გარე პერიმეტრზე; რკინის კარს; შიდა ელექტროქსელის გაყვანილობას; გალესილ კედლებს; ბინამდე მიყვანილ ვერტიკალურ კომუნიკაციებს (წყალი/კანალიზაცია, დენი, ბუნებრივიაირი); მოჭიმულ იატაკს;

გ) ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემიდან არაუმეტეს 1 (ერთი) წლის ვადაში, „ქ. თბილისში, წურწუმიას და ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის დაპირების მიცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მთვრობის 2014 წლის 23 მაისის N14.58.676 განკარგულებითგანსაზღვრულიპირების (20 (ოცი) ოჯახი) სანოტარო ფორმით დამოწმებული თანხმობის წარმოდგენას, რომლითაც დადასტურდება, რომ აღნიშნული პირები, როგორც „კრედიტორები" თანხმობას აცხადებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაცვლად, შპს „მაილინ გრუპისაგან" (ს/ნ: 205207364), როგორც „მოვალისგან" მიიღონ ჯამში არანაკლებ 800 კვ.მ. (თითო ოჯახზე არანაკლებ 40 კვ.მ.) საცხოვრებელი ფართი და მომავალში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ არ ექნებათ „ქ. თბილისში, წურწუმიას და ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის დაპირების მიცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მთვრობის 2014 წლის 23

მაისის N14.58.676 განკარგულებიდან და შესაბამისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე არანაირი მოთხოვნის უფლება და რაიმე სახის პრეტენზია;

დ) იმ შემთხვევაში, თუ შპს „მაილინ გრუპი“ (ს/ნ: 205207364) ვერ წარმოადგენს ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებულ „კრედიტორების“ თანხმობას, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში,საპრივატიზებო ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე არსებული, „ქ. თბილისში, წურწუმიას და ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის დაპირების მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 23 მაისის N14.58.676 განკარგულებით თითო ოჯახზე განსაზღვრული საცხოვრებელი ფართის (თითო ოჯახზე არანაკლებ 40 კვ.მ.) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას, რომელიც იქნება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, გარემონტებული, რაც გულისხმობს: კარ-ფანჯარას გარე პერიმეტრზე; რკინის კარს; შიდაელექტროქსელის გაყვანილობას; გალესილ კედლებს; ბინამდე მიყვანილ ვერტიკალურ კომუნიკაციებს (წყალი/კანალიზაცია, დენი, ბუნებრივი აირი), მოჭიმულ იატაკს, იმ მიზნით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული განკარგულებით განსაზღვრული შესაბამისი პირების (ოჯახების) საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება;

ე) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემიდან არაუმეტეს 1 (ერთი) წლის ვადაში,„ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს “მაილინ გრუპს” (ს/ნ: 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული„ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 17 მაისის N17.24.340 განკარგულების დანართი 6-ით განსაზღვრულ ნაკვეთზე მცხოვრები პირების (ოჯახების) იდენტიფიცირებას და მათი სანოტარო ფორმით დამოწმებული თანხმობის წარმოდგენას, რომლითაც დადასტურდება, რომ აღნიშნული პირები ნამდვილად ფლობენ ან სარგებლობენ საპრივატიზებო ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონებით და თანხმობას აცხადებენ, რომ შპს „მაილინ გრუპისაგან“ (ს/ნ: 205207364) მიიღონ საცხოვრებელი ფართები (ჯამში არანაკლებ 200 (ორასი) კვ.მ.), ამასთან, მომავალში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ არ განაცხადებენ რაიმე სახის პრეტენზიას;

ვ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში, „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს “მაილინ გრუპს” (ს/ნ: 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული„ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“

ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 17 მაისის N17.24.340 განკარგულების დანართი 6-ით განსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე მცხოვრები იდენტიფიცირებული პირებისათვის (ოჯახებისთვის) საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას, რომელიც იქნება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, გარემონტებული, რაც გულისხმობს: კარ-ფანჯარას გარე პერიმეტრზე; რკინის კარს; შიდა ელექტროქსელის გაყვანილობას; გალესილ კედლებს; ბინამდე მიყვანილ ვერტიკალურ კომუნიკაციებს (წყალი/კანალიზაცია, დენი, ბუნებრივი აირი); მოჭიმულ იატაკს;

ზ)საპრივატიზებო პირობების შესრულებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს "მაილინ გრუპს" (ს/ნ: 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული„ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 17 მაისის N17.24.340 განკარგულების დანართი 6-ით განსაზღვრული მიწის ნაკვეთის უფლებრივად დატვირთვას, რომელიც გამიჯვნის შემდეგ დარჩება მყიდველის საკუთრებაში, ხოლო„ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს "მაილინ გრუპს" (ს/ნ: 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული„ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 17 მაისის N17.24.340 განკარგულების დანართი 3-ით განსაზღვრული მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოყოფის შემდეგ დარჩება მყიდველის საკუთრებაში გათავისუფლდეს ყოველგვარი უფლებრივი ტვირთისაგან;

თ) ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს "მაილინ გრუპს" (ს/ნ: 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებულ„ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ შეთანხმების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, მოპასუხე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ სარჩელზე (ადმინისტრაციული საქმე N3/2497-16 06.04.2016 წელი /N330310016001301324, დავის საგანი - თანხის დაკისრება/ზიანის ანაზღაურება) უარის თქმას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

2. შპს „მაილინ გრუპის" (ს/ნ: 205207364) მიერ ამ განკარგულების პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ძალადაკარგულად გამოცხადდეს წინამდებარე განკარგულება და შეწყვეტილად ჩაითვალოს ამ

განკარგულების საფუძველზე დადებული შეთანხმება, „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს "მაილინ გრუპს" (ს/ნ: 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული„ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 17 მაისის N17.24.340 განკარგულების გამოცემამდე და შეთანხმების გაფორმებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი

შეთანხმება

ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს "მაილინ გრუპს" (ს/ნ: 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი ___ _____ 2017 წ.

"ქალაქ თბილისის მთავრობასადაშპს "მაილინ გრუპს" (ს/ნ: 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული„ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის N------ განკარგულების და „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს "მაილინ გრუპს" (ს/ნ: 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შეცვლის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის N---- განკარგულების საფუძველზე, ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - „გამყიდველი", მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N7, წარმოდგენილი სააგენტოს ----- მიერ) და მეორე მხრივ, შპს „მაილინ გრუპი"(ს/ნ: 205207364) (შემდგომში - „მყიდველი", წარმოდგენილი დირექტორის ზაქარია დუდაურის მიერ, დაბ. 21.05.1963 წელს, რუსეთის ფედერაციის პასპორტი N710757873), ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

მუხლი 1.

ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს "მაილინ გრუპს" (ს/ნ: 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში (შემდეგომში „ხელშეკრულება") შევიდეს შემდეგი ცვლილება:
ა) ხელშეკრულების 1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.1 ამ ხელშეკრულებით, გამყიდველი მყიდველს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 11 ნოემბრის N31.29.1285

დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის --- N----- -- განკარგულებით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის ----- N---- განკარგულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობებით, საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (ნასყიდობის საგანი):".

ბ) ხელშეკრულების 1.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.2. ქ.თბილისში, წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 7 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: _____)

საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, ხელშეკრულების საგნის მახასიათებლებია: მიწის საკადასტრო კოდი: N_____ ; განცხადების რეგისტრაციის N _____; მომზადების თარიღი: __ __ ____.

გ) ხელშეკრულების 1.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.3. ქ.თბილისში, წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 13 266 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: _____)

საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, ხელშეკრულების საგნის მახასიათებლებია: მიწის საკადასტრო კოდი: N_____ ; განცხადების რეგისტრაციის N _____; მომზადების თარიღი: __ __ ____.

დ) ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 11 ნოემბრის N31.29.1285 დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის --- N------- განკარგულებით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის ----- N---- განკარგულებით, საპრივატიზებო პირობებად განისაზღვრა:".

ე) ხელშეკრულების 4.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.3. „მყიდველი" ვალდებულია:

4.3.1. N01.17.01.050.024 და N01.17.01.050.026 საკადასტრო ერთეულების გამიჯვნიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადმოსცეს 9076 კვ.მ. ფართისა და 4558 კვ.მ. ფართის N---------- და N---------- საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონება.

4.3.2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 4.3.1 ქვეპუნქტში მითითებული მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გადაცემიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში„ქ. თბილისში, წურწუმიას და ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის დაპირების მიცემის თაობაზე"ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 23 მაისის N14.58.676 განკარგულებით განსაზღვრულ პირებს (20 (ოცი) ოჯახი) საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასცეს არანაკლებ ჯამში 800 კვ.მ. (თითო ოჯახზე არანაკლებ 40 კვ.მ.) საცხოვრებელი ფართით, რომელიც იქნება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, გარემონტებული, რაც გულისხმობს: კარ-ფანჯარას გარე პერიმეტრზე; რკინის კარს; შიდა ელექტროქსელის გაყვანილობას; გალესილ კედლებს; ბინამდე მიყვანილ ვერტიკალურ კომუნიკაციებს (წყალი/კანალიზაცია, დენი, ბუნებრივი აირი); მოჭიმულ იატაკს.

4.3.3.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 4.3.1 ქვეპუნქტში მითითებული მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გადაცემიდან არაუმეტეს 1 (ერთი)წლის ვადაში წარმოადგინოს „ქ. თბილისში, წურწუმიას და ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე

არსებულ ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის დაპირების მიცემის თაობაზე"ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 23 მაისის N14.58.676 განკარგულებით განსაზღვრული პირების (20 (ოცი) ოჯახი) სანოტარო ფორმით დამოწმებული თანხმობა, რომლითაც დადასტურდება, რომ აღნიშნული პირები, როგორც „კრედიტორები" თანხმობას აცხადებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაცვლად, შპს „მაილინგრუპისაგან", როგორც „მოვალისგან" მიიღონ ჯამში 800 კვ.მ. (თითო ოჯახზე არანაკლებ 40 კვ.მ.) საცხოვრებელი ფართი და მომავალში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ არ ექნებათ „ქ. თბილისში, წურწუმიას და ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის დაპირების მიცემის თაობაზე"ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 23 მაისის N14.58.676 განკარგულებიდან და შესაბამისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე არანაირი მოთხოვნის უფლება და რაიმე სახის პრეტენზია.

4.3.4 შპს „მაილინ გრუპის" მიერ ხელშეკრულების 4.3.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული „კრედიტორების" თანხმობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულების 4.3.2 ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს უსასყიდლო საკუთრებაში გადასცეს„ქ. თბილისში, წურწუმიას და ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის დაპირების მიცემის თაობაზე"ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 23 მაისის N14.58.676 განკარგულებით თითო ოჯახზე განსაზღვრული საცხვრებელი ფართი (თითო ოჯახზე არანაკლებ 40 კვ.მ.), რომელიც იქნება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, გარემონტებული, რაც გულისხმობს: კარ-ფანჯარას გარე პერიმეტრზე; რკინის კარს; შიდა ელექტროქსელის გაყვანილობას; გალესილ კედლებს; ბინამდე მიყვანილ ვერტიკალურ კომუნიკაციებს (წყალი/კანალიზაცია, დენი, ბუნებრივი აირი), მოჭიმულ იატაკს, იმ მიზნით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული განკარგულებით განსაზღვრული შესაბამისი პირების (ოჯახების) საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება.

4.3.5.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 4.3.1 ქვეპუნქტში მითითებული მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გადაცემიდან არაუმეტეს 1 (ერთი)წლის ვადაში მოახდინოს N_____ საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 7000 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთზე მცხოვრები პირების (ოჯახების) იდენტიფიცირება და მათი სანოტარო ფორმით დამოწმებული თანხმობის წარმოდგენა, რომლითაც დადასტურდება, რომ აღნიშნული პირები ნამდვილად ფლობენ ან სარგებლობენ საპრივატიზებო ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონებით და თანხმობას აცხადებენ, შპს„მაილინ გრუპისაგან" (ს/ნ: 205207364) საცხოვრებელი ფართების (ჯამში არანაკლებ 200 კვ.მ.) მიღებაზე და უარს აცხადებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ რაიმე სახის პრეტენზიის გაცხადებაზე.

4.3.6.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გადაცემიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში მოახდინოს N_____ საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 7000 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთზე მცხოვრები იდენტიფიცირებული ირებისთვის (ოჯახებისთვის) საცხოვრებელი ფართით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა, რომელიც იქნება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო,

თეთრი კარკასის მდგომარეობაში, გარემონტებული, რაც გულისხმობს: კარ-ფანჯარას გარე პერიმეტრზე; რკინის კარს; შიდა ელექტროქსელის გაყვანილობას; გალესილ კედლებს; ბინამდე მიყვანილ ვერტიკალურ კომუნიკაციებს (წყალი/კანალიზაცია, დენი, ბუნებრივი აირი); მოჭიმულ იატაკს.

ვ) ხელშეკრულების 5.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"5.3 გამყიდველი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული უძრავი ქონება ამ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის არის მისი საკუთრება და არის ნივთობრივად უნაკლო, იგი არ არის იპოთეკით დატვირთული და დაყადაღებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერებით. ნასყიდობის საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის. მყიდველმა მოიწონა ნასყიდობის საგნის ხარისხი.";

ზ) ამოღებულ იქნეს ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.4 - 5.6 პუნქტები.

თ) ხელშეკრულების 5.7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.7 მყიდველი იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 11 ნოემბრის N31.29.1285 დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის --- N------- განკარგულებით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის ----- N----განკარგულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობები და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები. შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.";

ი) ხელშეკრულების 5.14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.14 საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად N_____საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი იტვირთება იპოთეკით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, საპრივატიზებო პირობებისა და ვალდებულებების შესრულების მთელი პერიოდის მანძილზე და აისახება საჯარო რეესტრის შესაბამის ამონაწერებში, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.";

კ) ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:
სახელმწიფო ხაზინა - TRESGE 22
სახაზინო კოდი - 300773287. ".

ლ) ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.4 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.4. ხელშეკრულების 4.2 და 4.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველს" „გამყიდველის" სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო თითოეულ დარღვევაზე 100 (ასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება „მყიდველის" მიერ ვალდებულების სრულად შესრულებამდე.".

მუხლი 2.

2.1 „მყიდველი" ვალდებულია წინამდებარე შეთანხმების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში უარი თქვას მოპასუხე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ სარჩელზე (ადმინისტრაციული საქმე N3/2497-16 06.04.2016 წელი/N330310016001301324, დავის საგანი - თანხის

დაკისრება/ზიანის ანაზღაურება), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

2.2 „მყიდველის“ მიერ ამ მუხლის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეწყვეტილად ჩაითვალოს წინამდებარე შეთანხმება, ამ შეთანხმებამდე და “ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს “მაილინ გრუპს” (ს/ნ: 205207364) შორის 2011 წლის9 დეკემბერს გაფორმებული„ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარდგენის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის ----- N------- განკარგულების გამოცემამდე არსებული მდგომარეობის აღდგენით.

მუხლი 3.

3.1 შეთანხმება წარმოადგენს ქალაქ თბილისის მთავრობასა და მყიდველს შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ექვემდებარება საჯარო რეესტრში წარდგენას.

3.2 წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე დავის არსებობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონდე სასამართლოს.

3.3 წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი სანოტარო ფორმით ხელმოწერის დამოწმებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

3.4 „მყიდველი“ ვალდებულია აანაზღაუროს წინამდებარე შეთანხმების გაფორმებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის, ასევე წინამდებარე შეთანხმების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შეუსრულებლობის შეთხვევაში გაწეული ხარჯი.

3.5 შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორ-ორი ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

„გამყიდველი“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

„მყიდველი“

შპს „მაილინ გრუპი“